საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030604031370221

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1463 **20 / აპრილი / 2021 წ.**

სსიპ ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს''
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის #828 დადგენილებით, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში-ცენტრი) დაევლა განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.

გართულებული ეპიდსიტუაციის პირობებში, ტესტირებების რაოდენობის მკვეთრად ზრდის გამო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შესყიდული ანტიგენის განმსაზღვრელი 1.0 მლნ ტესტის მოწოდებამდე (რომელიც ბოლო ინფორმაციით დაგეგმილია მიმდინარე თვის ბოლოს), ქვეყანაში იქმნება ტესტების გარკვეული დეფიციტი, შესაბამისად შესყიდული ტესტების ახალი პარტიის მიღება/დისტრიბუციამდე აუცილებელია ადგილზე არსებული მარაგების შევსება, რათა თავიდან ავიცილოთ წყვეტა ტესტების მომარაგებაში და შესაბამისად გართულებული ეპიდსიტუაციის პირობებში ტესტირებისადმი საყოველთაო ხელმისაწვდომობის შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, გთხოვთ თქვენს თანხმობას, რათა შესაბამისი შესყიდვები განვახორციელოთ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის № 322 დადგენილებით დამტკიცებული ,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ'' 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილების შესაბამისად.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამჯდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე